

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარი“

ფინანსური ანგარიშგება

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

	გვერდ
ფინანსური ანგარიშგება	o
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-v
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-38

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 მარტს:

გენერალური დირექტორი გაიოზ სანაძე _____

ფინანსური დირექტორი ნინო ქურდიანი _____

სს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების („ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის პირობითი დასკვნის საფუძვლის თავეში აღწერილი მოვლენის გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2003 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალში განხორციელდა არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების შეტანა რომელთა აღიარება მოხდა შეფასებული ღირებულებით, რაც შეადგენდა 85,000 ლარს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება კაპიტალის აღნიშნული თანხით ზრდის დასადასტურებლად. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შესაბამის ციფრებთან მიმართებით.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის

აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 მარტი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	3	84,740	78,890
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3	12,000	12,030
სულ შემოსავალი		96,740	90,920
ხელფასის ხარჯი		(285,437)	(153,029)
იჯარის ხარჯი		(18,575)	(18,168)
საკონსულტაციო ხარჯი		(7,031)	(19,605)
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	(2,972)	(2,664)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(2,354)	(150)
სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(22,954)	(13,511)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება	7	(1,922)	-
ფინანსური შემოსავალი	5	53,464	36,298
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	6	17,389	(45,872)
წლის ზარალი		(173,652)	(125,781)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(173,652)	(125,781)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(173,652)	(125,781)
სარგებელი ერთ აქციაზე		ლარი	ლარი
საბაზისო და გაზავებული	15	(0.0043)	(0.0031)

გენერალური დირექტორი

გაიოზ სანაძე

ფინანსური დირექტორი

ნინო ქურდიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	4,416	5,619
არამატერიალური აქტივები	9	6,244	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	10	705,207	690,775
წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად	11	287,929	287,929
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,003,796	984,323
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		7,656	4,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	18,324	13,368
ფული და ფულის ექვივალენტები	13	61,790	269,266
სულ მიმდინარე აქტივები		87,770	287,531
სულ აქტივები		1,091,566	1,271,854
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	405,699	405,699
საემისიო კაპიტალი	14	809,501	809,501
გაუნაწილებელი მოგება		(126,024)	54,536
სულ კაპიტალი		1,089,176	1,269,736
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,390	2,118
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,390	2,118
სულ ვალდებულებები		2,390	2,118
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,091,566	1,271,854

გენერალური დირექტორი

გაიოზ სანაძე

ფინანსური დირექტორი

ნინო ქურდიანი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი ლარი	საემისიო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	405,699	809,501	180,317	1,395,517
წლის ზარალი	-	-	(125,781)	(125,781)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	405,699	809,501	54,536	1,269,736
საადრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების ეფექტი (შენიშვნა 2)	-	-	(6,908)	(6,908)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	405,699	809,501	47,628	1,262,828
წლის ზარალი	-	-	(173,652)	(173,652)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	405,699	809,501	(126,024)	1,089,176

გენერალური დირექტორი

გაიოზ სანაძე

ფინანსური დირექტორი

ნინო ქურდიანი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		95,438	88,142
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(344,224)	(204,407)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(248,786)	(116,265)
მიღებული პროცენტი		53,831	19,386
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(194,955)	(96,879)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივის წმინდა ზრდა	10	-	(673,972)
წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად	9	(6,350)	(287,929)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(1,663)	(852)
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(8,013)	(962,753)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	13	269,266	1,374,771
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(202,968)	(1,059,633)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	13	(4,508)	(45,872)
31 დეკემბრის მდგომარეობით		61,790	269,266

გენერალური დირექტორი

გაიოზ სანაძე

ფინანსური დირექტორი

ნინო ქურდიანი

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 1 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალიზებული ფორმით.

კომპანიის დამფუძნებელია სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ („დამფუძნებელი“).

2016 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 304,499 აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასი შეადგენდა 3,62 ლარს, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 304,499 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 798,701 ლარით. ახალი გამოშვებული აქციები სრულად შეიძინა სს „თბილისის საფონდო ბირჟამ“ ჯამური ღირებულებით 1,103,200 ლარი.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 24,64% წილის მფლობელია სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“, 75,06%-ს ფლობს სს „თბილისის საფონდო ბირჟა“, ხოლო 0,3%-ის სხვა აქციონერები. თავის მხრივ, საქართველოს საფონდო ბირჟა ფლოს თბილისის საფონდო ბირჟის აქციათა 35.22 პროცენტს და შესაბამისად ირიბად კომპანიის აქციების დამატებით 26.4% - ს.

ძირითადი აქციონერები

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ – 24,64 %

სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ – 75,06%;

სხვა აქციონერები - 0,3%.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის

განმარტებითი შენიშვნები

უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

საქმიანობის სპეციფიურობა

როგორც ზემოთ არის აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს ანგარიშწორების სერვისს თავისი მომხმარებლებისთვის, რომელიც მოიცავს ფასიანი ქალაქებით ტრანზაქციებს მომხმარებლების საკუთარ და კლიენტების ნომინალურ ფასიანი ქალაქების ანგარიშგებზე. ამ საქმიანობის ფარგლებში მიღებული აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები არ აღიარდება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან კომპანია ამ საქმიანობიდან საკუთარ თავზე იღებს მხოლოდ საოპერაციო რისკებს. ყველანაირ საკრედიტო და საბაზრო რისკებს საკუთარ თავზე იღებს მომხმარებელი. შემოსავალი სადეპოზიტო სერვისიდან აღიარდება როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და

განმარტებითი შენიშვნები

ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით).

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 9:

კომპანიამ ფასს 9 დანერგა 2018 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები.

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს). მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, ფინანსური აქტივი შეიძლება შეუცვლელად იყოს რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა შეამციროს ეფექტი, ან აღმოფხვრას საბუღალტრო შეუსაბამობა.

მოგებაში ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, სტანდარტი მოითხოვს რომ რეალურ ღირებულებაში ცვლილება, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკრედიტო რისკს, აისახოს სხვა სრულ შემოსავალში (OCI- ში) (თუ ეს არ წამოშობს საბუღალტრო შეუსაბამობას). ახალი განმარტივებული ჰეჯირების აღრიცხვა მიზნად ისახავს საბუღალტრო გატარებების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას კომპანიის რისკ-მენეჯმენტის საქმიანობასთან.

განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") მოდელს რეზერვის შეფასებისთვის. გაუფასურება ფასდება 12 თვიანი

განმარტებითი შენიშვნები

ECL მეთოდის გამოყენებით, თუ საფინანსო ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რომლის დროსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ECL მეთოდია უკვე დანერგილი.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის შესაძლებელია მთელი სიცოცხლის მანძილზე რეზერვის შექმნა.

ფასს 15:

კომპანიას ფასს 15 2018 წლის 1 იანვრიდან აქვს დანერგილი. სტანდარტი განსაზღვრავს შემოსავლების აღიარების ერთიან მოდელს.

სტანდარტის ძირითადი პრინციპია ის, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტში წარმოდგენილია ახალი კონტრაქტზე-დაფუძნებული შემოსავლების აღიარების მოდელი შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ეფუძნება გარიგების ფასის მიკუთვნებას. ეს აღწერილია შემდგომში ქვემოთ

მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია ცალკე როგორც ხარჯი, ვიდრე კორექტირებული ამონაგების შემოსავლის შეპირისპირებულად.

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, სახელშეკრულებო აქტივი, ან მოთხოვნა, რაც დამოკიდებულია საწარმოს შესრულების ტიპზე და კლიენტის გადახდაზე. დამკვეთის შეძენის ხარჯები და ხარჯები ხელშეკრულების შესასრულებლად, გარკვეულ კრიტერიუმებს ექვემდებარება, შესაძლებელია კაპიტალიზდეს როგორც აქტივი და ამორტიზირდეს ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში.

განმარტებითი შენიშვნები

ახალი სტანდარტების დანერგვის გავლენა

ფასს 9 და ფასს 15 მიღებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. შედეგად მიღებული გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაკორექტირებულა, რადგან მისი შეუქცევადად დაკორექტირება შეუძლებელია. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათი გავლენა წარმოდგენილია ქვემოთ:

	1 იანვარი 2018
ფინანსური ანგარიშგების არე	ლარი
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის (ხარჯი)/ალდგენა (ფასს 9)	6,908
შემოსავლები (ფასს 15)	-
გაუნაწილებელ მოგებაზე გავლენა 1 იანვრის მდგომარეობით	6,908

ფინანსური ინსტრუმენტების (ფასს 9) ცვლილება დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

	ბასს 39 საბალანსო ღირებულება 31.12.2017	რეკლასიფიკაცია	შეფასების ცვლილება	ფასს 9 საბალანსო ღირებულება 1.1.2018
ამორტიზირებული ღირებულებით	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
დებიტორული დავალიანება	13,368	-	-	13,368
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	690,775	-	(6,908)	683,867
სულ	704,143	-	(6,908)	697,235

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და კომპანია გაუფასურების ანარიცხის ქმინიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება.

2018 წლის ანგარიშგების ელემენტების შედარება ძველი და ახალი სტანდარტით:

განმარტებითი შენიშვნები

	ახალი სტანდარტით	ძველი სტანდარტით	სხვაობა
საკომისიო შემოსავალი	96,740	96,740	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ხარჯი)/აღდგენა	(1,922)	(1,105)	(817)
საპროცენტო და სხვა შემოსავალი	53,464	53,464	-
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	17,388	17,388	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(339,323)	(339,323)	-
ზარალი დაბეგრამდე	(173,653)	(172,836)	(817)
წლის ზარალი	(173,653)	(172,836)	(817)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,324	18,997	(673)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	705,207	712,259	(7,052)
სხვა დანარჩენი აქტივები	368,035	368,035	-
სულ აქტივები	1,091,566	1,099,291	(7,725)
ვალდებულებები	2,390	2,390	-
სულ ვალდებულებები	2,390	2,390	-
წმინდა აქტივები	1,089,176	1,096,901	(7,725)

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და

განმარტებითი შენიშვნები

წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგ მდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შექმნასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

განმარტებითი შენიშვნები

(გ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

(დ) არამატერიალური აქტივები

შემქნილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და

განმარტებითი შენიშვნები

უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 10 წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

(ე) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიზნულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად ხდება აქტივების გაუფასურებაზე

განმარტებითი შენიშვნები

შემოწმება (ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას).

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

განმარტებითი შენიშვნები

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
------------------------	------------------	-------------	-----------	------------	----------------

განმარტებითი შენიშვნები

დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%
---------------------------	----	----	-----	-----	------

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(თ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

	\$	€
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული	2.51	2.83

განმარტებითი შენიშვნები

(ი) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

(კ) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

(ლ) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

განმარტებითი შენიშვნები

3 საკომისიო და საწევრო შემოსავლები

	2018	2017
	ლარი	ლარი
საკომისიო შემოსავალი	41,660	27,533
შემოსავალი კასტოდიანური მომსახურებიდან	28,840	38,772
კასტოდიანის და ბროკერების საწევრო გადასახადი	14,240	12,585
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12,000	12,030
სულ საკომისიო და საწევრო შემოსავლები	96,740	90,920

4 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
	ლარი	ლარი
მივლინების ხარჯები	4,990	2,507
კომუნალური ხარჯები	4,560	3,804
პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა	3,800	-
პერსონალის ტრენინგი	3,214	-
დაზღვევა	3,038	1,218
დასუფთავების და მომსახურების ხარჯი	1,166	1,105
ბანკის საკომისიო	586	1,185
საგადასახადო ხარჯები	-	2,628
სხვა ხარჯები	1,602	1,064
სულ	22,954	13,511

5 ფინანსური შემოსავლები

	2018	2017
	ლარი	ლარი
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	45,325	16,752
საბანკო დეპოზიტებისაგან მიღებული პროცენტი	8,139	19,546
სულ ფინანსური შემოსავლები	53,464	36,298

განმარტებითი შენიშვნები

6 კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/ზარალი

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	6,629	-	-	83,070	89,699
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(11,137)	(20)	(9)	(61,145)	(72,311)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	(4,508)	(20)	(9)	21,925	17,388

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	43,291	-	-	86,806	130,098
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(141,444)	(5)	-	(34,521)	(175,970)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2017 წლის განმავლობაში	(98,152)	(5)	-	52,285	(45,872)

განმარტებითი შენიშვნები

7 ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება

	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	დებიტორული დავალიანების რეზერვი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(925)	(925)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი/ამოღებული თანხები	-	-	-
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(925)	(925)
სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების ეფექტი (შენიშვნა 2)	(6,908)	-	(6,908)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(6,908)	(925)	(7,833)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	925	925
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	-	-	-
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(217)	(1,705)	(1,922)
2018 წლის 31 დეკემბერი	(7,125)	(1,705)	(8,830)

განმარტებითი შენიშვნები

8 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აქტივების აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	29,143	9,625	38,768
შემენა	852	-	852
გაყიდვა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	29,995	9,625	39,620
შემენა	1,663	-	1,663
გაყიდვა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	31,658	9,625	41,283
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვარი	(27,487)	(3,850)	(31,337)
წლის ცვეთა	(739)	(1,925)	(2,664)
გაყიდვა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	(28,226)	(5,775)	(28,673)
წლის ცვეთა	(941)	(1,925)	(2,866)
გაყიდვა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	(29,167)	(7,700)	(25,807)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვარი	1,656	5,775	7,431
2017 წლის 31 დეკემბერი	1,769	3,850	5,619
2018 წლის 31 დეკემბერი	2,491	1,925	4,416

2018 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 29,992 ლარია. მიუხედავად ამისა კომპანია იყენებს ზემოთ აღნიშნულ ძირითად საშუალებებს საოპერაციო საქმიანობაში.

განმარტებითი შენიშვნები

9 არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული პროგრამა ლარი	სულ ლარი
ისტორიული ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	20,826	20,826
შეძენა	-	-
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,826	20,826
შეძენა	6,350	6,350
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,176	27,176
ცვეთა და გაუფასურება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	20,826	20,826
ცვეთა წლის მანძილზე	-	-
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,826	20,826
ცვეთა წლის მანძილზე	(106)	(106)
გაყიდული	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,932	20,932
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,244	6,244

2018 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 20,826 ლარია. მიუხედავად ამისა კომპანია იყენებს ზემოთ აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებს საოპერაციო საქმიანობაში.

განმარტებითი შენიშვნები

10 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	რაოდენობა	დაფარვის ვადა	სარგე ბელი	31.12.2018	31.12.2017
შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	აშშ დოლარი	260,000	260 ც	29-08-2020	7.00%	712,331	690,775
სულ გაუფასურების რეზერვამდე:						712,331	690,775
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი (იხ. შენიშვნა 7)						(7,125)	-
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები						705,207	690,775

საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივიდან იხილეთ მე-5 განმარტებითი შენიშვნაში. საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

არ არის მატერიალური სხვაობა დაფარვის ვადამდე ფლობილ ფინანსურ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

11 წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
წინასწარ გადახდები არამატერიალური აქტივებზე	247,428	247,428
არადაბრუნებადი გადასახადები რომლებიც გაწეულ იქნა არამატერიალურ აქტივზე	40,501	40,501
სულ	287,929	287,929

არამატერიალური აქტივების შესყიდვისთვის წინასწარ გადახდა მოიცავს საავანსო გადასახადს MONTRAN CORPORATION-ისთვის (ფუქციონირების მისამართი - 60E. 42ND Street, Suite 464 New York, USA.). მხარეებს შორის შეთანხმება გაფორმდა 2017 წლის 31 იანვარს. კონტრაქტის ფარგლებში, MONTRAN CORPORATION-მა აიღო პასუხისმგებლობა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე, იმისათვის, რომ კომპანიამ შეძლოს უფრო საიმედოდ მოახდინოს ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგებების კლირინგი და ანგარიშსწორება და გააფართოვოს მომსახურების არეალი.

	2018	2017
საწყისი ნაშთი - 1 იანვრის მდგომარეობით	287,929	-
წლის განმავლობაში გადახდილი თანხა	-	287,929
წლის განმავლობაში გამოქვითული თანხა	-	-
ნაშთი წლის ბოლოს - 31 დეკემბრის მდგომარეობით	287,929	287,929

განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის დეკემბერში პროექტის პირველი ფაზა დასრულდა და პილოტურ რეჟიმში განხორციელდა პროგრამის გაშვება. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2019 წლის აპრილის დასაწყისში.

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	16,384	11,793
გადახდილი ავანსები	3,645	2,500
მინუს:საექვო მოთხოვნების ანარიცხი (იხ. შენიშვნა 7)	(1,705)	(925)
სულ დებიტორული და სხვა მოთხოვნები	18,324	13,368

არ არის მატერიალური სხვაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

13 ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ფული ბანკში	9,381	23,321
ფული სალაროში	37	36
მოკლევადიანი დეპოზიტები	52,371	245,909
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	61,790	269,266

მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს დეპოზიტზე განთავსებულ ფულად სახსრებს სხვადასხვა ბანკებში, ერთ წლამდე ვადით, წლიური განაკვეთით 0.5-9.5%.

მიღებული შემოსავალი დეპოზიტებიდან საანგარიშგებო პერიოდში იყო 8,139 ლარი (2017: 19, 546 ლარი).

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულებისა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

14 სააქციო, საემისიო კაპიტალი

2018 წლის განმავლობაში კომპანიაში არ შეიცვალა კაპიტალის სტრუქტურა.

2016 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 304,499 აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასი შეადგენდა 3,62 ლარს, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 304,499 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 798,701 ლარით.

განმარტებითი შენიშვნები

15 შემოსავალი ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივი აქციებს.

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება საერთო აქციონერებს	(173,652)	(125,781)
მოგება (ზარალი) მიმდინარე წლისთვის	(173,652)	(125,781)
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	405,699	405,699
ძირითადი	(0.0043)	(0.0031)

16 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა 2018 წლის 5 ოქტომბერს, თუმცა თუ არცერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება 1 წლის ვადით.

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ერთი წლის ვადაში	16,060	15,553
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთ წელზე ნაკლებ ვადაში	-	-
სულ იჯარის სამომავლო მინიმალური გადახდები	16,060	15,553

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი

განმარტებითი შენიშვნები

საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	61,790	269,266
სავაჭრო მოთხოვნები	14,679	10,868
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	705,207	690,775
სულ ფინანსური აქტივები	781,676	970,909
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2,390	2,118
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,390	2,118

განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ფული განთავსებული საბანკო ანგარიშებზე	61,752	269,230
სავაჭრო მოთხოვნები	14,679	10,868
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	705,207	690,775
სულ ფინანსური აქტივები	781,638	970,873

როგორც შენიშვნა 13 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის. დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

განმარტებითი შენიშვნები

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები		61,790	-	-	61,790
სავაჭრო მოთხოვნები		14,679	-	-	14,679
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	7%	-	705,207	-	705,207
სულ ფინანსური აქტივები		76,469	705,207	-	781,676
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები		2,390	-	-	2,390
სულ ფინანსური ვალდებულებები		2,390	-	-	2,390
ლიკვიდურობის პოზიცია		74,079	-	-	779,286

ლიკვიდურობის რისკი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები		269,266	-	-	269,266
სავაჭრო მოთხოვნები		10,868	-	-	10,868
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	7%	-	690,775	-	690,775
სულ ფინანსური აქტივები		280,134	690,775	-	970,909
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები		2,118	-	-	2,118
სულ ფინანსური ვალდებულებები		2,118	-	-	2,118
ლიკვიდურობის პოზიცია		278,016	-	-	968,791

განმარტებითი შენიშვნები

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიურ %-ში	31.12.2018		31.12.2017	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	5.5-9.5%	0.5-0.75%	5.5-12%	0.5-0.75%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	7%	-	7%

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უცხოურ ვალუტაში ჰქონდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	3,501	705,207	708,709
სულ	3,501	705,207	708,709

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:			
აშშ დოლარი	131,558	690,775	822,333
სულ	131,558	690,775	822,333

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 71,597 ლარით (2017: 82,233 ლარით).

18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ: სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟა“

	2018 ლარი	2017 ლარი
შემოსავალი		
შემოსავალი დამფუძნებლებისგან	12,000	12,000
დამფუძნებლების შვილობილი კომპანიებისგან მიღებული შემოსავლები	-	-
შემოსავალი სხვა დაკავშირებული მხარეებიდან აქციების გამოშვებით მიღებული ფული	122,170	33,995
	-	-
	2018 ლარი	2017 ლარი
ხარჯი		
ძირითადი აქციონერები	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	495	1,081
	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:		
ძირითადი აქციონერები	1,000	1,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	12,802	4,386
	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია	705,207	690,775

სს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები ნაშთი		
სს საქართველოს ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები	352	68,089
სს თიბისი ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები	3,591	122,357
	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ხელმძღვანელობის ანაზღაურება		
ხელფასი და პრემია	125,835	83,407

19 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერილს თარიღამდე არ მომხდარა.